თეონა რუხაძე
(საქართველო)

ტრადიციული მუსიკის ორმაგი იდენტობა: ფორმით ეროვნული, ხოლო შინაარსით სოციალისტური

შესავალი

1930 წელს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობაზე სტალინი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ეკონომიკურ მიღწევებზე საუბრისა და კაპიტალიზმის კრიტიკის შემდეგ, ეროვნული კულტურების საკითხსაც შეეხო. იგი აცხადებდა, რომ სოციალიზმს, რომელიც დედამიწაზე პროლეტარიატის დიქტატსა და ეროვნებათა შერწყმას ისახავდა საბოლოო მიზნად, წინ დიდი გზა ედო. საერთო კულტურაში შერწყმამდე კი აუცილებელი იყო ეროვნულ კულტურათა განვითარება და სრული პოტენციალის გამოვლენა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ფორმით ეროვნული, ხოლო შინაარსით ბურჟუაზიული“ კულტურა მასების ნაციონალიზმის შხამით მოწამვლას ემსახურებოდა; „ფორმით ეროვნული, ხოლო შინაარსით სოციალისტური“ კულტურის მიზანი კი მასების სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდა უნდა ყოფილიყო (Сталин, 1930: https://www.marxists.org/russkij/stalin/t12/t12_21.htm).

1932 წელს საბჭოთა კავშირში მეინსტრიმად იქცა შემოქმედებითი მეთოდი „სოციალისტური რეალიზმი“, რომელიც მიზნად ისახავდა ხელოვნების დარგების საშუალებით სტალინის კულტის შექმნას, საბჭოთა ცხოვრების წესის პროპაგანდას. მისთვის დამახასიათებელი იყო მეტაფორული აზროვნებისაგან გათავისუფლება, რეალობის ოპტიმისტური აღქმა, ხალხურობა, მასობრიობა და სიმარტივე (ლევანიძე, 2020:20-21). ეს კანონები ვრცელდებოდა ხელოვნების ყველა დარგზე, მათ შორის, ერთი შეხედვით ნაკლებად მოსახელთებელ და აბსტრაქტულ მუსიკაზეც.

ფოლკლორი საბჭოთა იდეოლოგიის სამსახურში

1930-იან წლებამდე, ანუ იქამდე, ვიდრე სტალინი „ფორმით ეროვნული, ხოლო შინაარსით სოციალისტური“ კულტურის მშენებლობაზე დაიწყებდა საუბარს, როგორც ჩანს, ხელისუფლება ჯერ კიდევ არ განიხილავდა ფოლკლორს პროპაგანდის პოტენციურ იარაღად. მეტიც, 20-იან წლებში ცალკეული სახელოვნებო ჯგუფები და ორგანიზაციები მას წარსულის მავნე გადმონაშთად და ბურჟუაზიული კულტურის გამოხატულებადაც მიიჩნევდნენ (Миллер, 2006:11-12). 30-იანი წლებიდან, კულტურის ახალი პოლიტიკის კვალდაკვალ, ხალხური შემოქმედებისადმი დამოკიდებულება შეიცვალა.

1930-იანი წლებიდან ფოლკლორს იგივე დავალება დაეკისრა, რაც ლიტერატურას: სოციალისტური აღმშენებლობისა და ახალი სულისკვეთებით გამსჭვალული საბჭოთა ადამიანის სამყაროს ჩვენება. ხელისუფლება თავის ერთ-ერთ ამოცანად ისახავდა ამ ახალი ფოლკლორის პოტენციურ ავტორთა იდეოლოგიურ აღზრდას. ასეთებს სახლებში უმონტაჟებდნენ რადიოკვანძებს, ამარაგებდნენ ჟურნალ-გაზეთებით, იწვევდნენ დიდ ქალაქებში, აცნობდნენ საბჭოთა ხელოვნების მიღწევებს, უტარებდნენ ლექციებს მორალურ-პოლიტიკური შეხედულებების გასაუმჯობესებლად (იქვე:18).

1934 წელს საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე მაქსიმ გორკი პოეტებსა და მუსიკოსებს თანამშრომლობისკენ და, რუსული, უკრაინული თუ ქართული ხალხური სიმღერების ჰანგებზე ახალი სიტყვების მორგებით, მარტივად და სწრაფად დასწავლადი ნიმუშები შექმნისკენ მოუწოდებდა (Горький, 1934:679-680).

იდეოლოგიური მუშაობა ფოლკლორის ამ ახალი პლასტის წარმოშობის მთავარი იმპულსი ხდება საქართველოშიც. ახალი ყოფით შთაგონებულ ნიმუშებს ქმნიან როგორც პროფესიონალი კომპოზიტორები[1], ისე ფოლკლორული ანსამბლების ხელმძღვანელები; ამ სიმღერებს ასრულებდნენ დედაქალაქსა თუ რეგიონებში მოღვაწე გუნდები. საბჭოთა ფოლკლორისტიკა მათ ხალხური შემოქმედების ნაწილად განიხილავს[2]. ფოლკლორისადმი ინტერესის ზრდას თან სდევს ხალხური შემოქმედების მიმართულებით მომუშავე მთელი რიგი ორგანიზაციების დაარსებაც[3].

1930-იანი წლები მასშტაბური ფოლკლორული ღონისძიებებითაც

---

[1] ლოტბართა მოგონებების გარდა, ამ ფაქტს საარქივო დოკუმენტებიც ადასტურებს. მაგალითად, განათლების სახალხო კომისარიატის 1934 წლის სხდომის ოქმის მიხედვით, ლოტბარ კირილე პაჭკორიას ეძლევა დირექტივა ეთნოგრაფიული გუნდის რეპერტუარში საკოლმეურნეო სიმღერების შეტანის თაობაზე (საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 181, ანაწერი 1, საქმე #468); ხელოვნების საქმეთა სამმართველოს არქივში დაცული, ხალხური სიმღერისა და ცეკვის სრულიად საქართველოს V რესპუბლიკური ოლიმპიადის (1938) ჟიურის სხდომის ოქმის მიხედვით კი, ჟიური საჭიროდ სცნობს ხალხური სიმღერების ჰანგებზე შეიქმნას ახალი ეპოქის სიმღერები და ამაზე პასუხისმგებლობას კომპოზიტორთა კავშირს აკისრებს (საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 2, ანაწერი 2, საქმე #292).

[2] საბჭოთა პერიოდში ამ საკითხს საგანგებო ნაშრომები მიუძღვნეს: დიმიტრი არაყიშვილმა, გრიგოლ ჩხიკვაძემ, თამარ მამალაძემ, ვაჟა გვახარიამ. მეცნიერები ამ სიმღერებს „თანამედროვე ფოლკლორად“ განიხილავდნენ.

[3] 1932 წელს საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან დაარსდა ფოლკლორის განყოფილება, რომლის ბაზაზეც შემდგომ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება და არქივი შეიქმნა; 1935 წელს თბილისის კონსერვატორიაში ჩამოყალიბდა ხალხური მუსიკის კაბინეტი; 1936 წელს ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან დაფუძნდა ხალხური შემოქმედების კაბინეტი, რომელიც მალევე ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლად გადაკეთდა; 1931 და 1936 წლებში რეორგანიზაცია განიცადა კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურმა (ამჟამად ისტორიისა და ეთნოლოგიის) ინსტიტუტმა; ფოლკლორის კვლევა თბილისის უნივერსიტეტსა და საქართველოს სხვა ქალაქების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა.

გამოირჩევა. 1934 წელს თბილისში ჩატარდა ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადა, რომელშიც ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკიდან ასობით ანსამბლმა და ინდივიდუალურმა შემსრულებელმა მიიღო მონაწილეობა. 1936 და 1938 წლებში გაიმართა რესპუბლიკური ოლიმპიადები. დიდ მოვლენად იქცა მოსკოვში გამართული 1937 წლის ქართული ხელოვნების დეკადა, რომელშიც ხალხურმა სიმღერამ და ცეკვამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

ფოლკლორულ ოლიმპიადებს იმ პერიოდის პრესა „ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ზეიმად", „ფორმით ეროვნული, ხოლო შინაარსით სოციალისტური" ხელოვნების წარმატებად განიხილავდა და წერდა: „შეიცვალა ხალხური შემოქმედების მოტივები, ახლებურად კვნესის სალამური, ახლებურად მღერის აშუღი, ახლებურად ცეკვავს გამარჯვებული მუშა... იქმნება ახალი ცხოვრება, მოდის ახალი ადამიანი, ახალი სიმღერით, ახალი მუსიკით, ახალი ხალხური ხელოვნებით" („კომუნისტი", #125, 1934:1).

ძველისა და ახლის ურთიერთმიმართება

საბჭოთა პერიოდში ხალხურ მოტივებზე შექმნილი სოციალისტური შინაარსის სიმღერები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ქართული ტრადიციული მუსიკისაგან თვისობრივად განსხვავებულ ფენომენად ჩამოყალიბდა. იდეოლოგიური დაკვეთის შედეგად შექმნილ ამ ნიმუშებში ახალი ცხოვრების ამსახველი ვერბალური ტექსტისადმი მორჩილება მუსიკალური ჰანგების სქემატურობას, მეტრისა და რიტმის ერთფეროვნებას განაპირობებს; ზღუდავს ხმების დამოუკიდებლობას და, რაც მთავარია, ტრადიციული მუსიკის უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს, იმპროვიზაციულობას – მრავალხმიანი ფაქტურის გართულების, გამრავალფეროვნების, ნაირგვარი ვარიანტების წარმოშობის წინაპირობას. ეს სიმღერები, როგორც წესი, სრულდებოდა დიდი შემადგენლობის გუნდების მიერ, დუბლირებული ხმებით, დირიჟორობით, კუთხური საშემსრულებლო მანერის ნიველირებით, საზეიმო განწყობით. ფოლკლორის ამ ახალი პლასტის შესახებ ეთნომუსიკოლოგი თამარ მესხი მართებულად აღნიშნავს, რომ ქართული ფესვებიდან ამოზრდილმა ამ შრემ, საერთო ნიადაგის მიუხედავად, არქაული ტრადიციებით მდიდარ გლეხურ შემოქმედებასთან მკვეთრი კონტრასტი შექმნა (მესხი, 2003:493).

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ საბჭოთა კავშირის ბელადებზე და სოციალისტური შრომის მიღწევებზე არსებულ სიმღერებს შეემატა ახალი, პატრიოტული თემა – ნიმუშები სამშობლოსთვის ბრძოლასა და თავგანწირვაზე. 50-იანი წლებისათვის თბილისსა თუ რეგიონებში არსებული ფოლკლორული ანსამბლების საკონცერტო პროგრამებში ამ რეპერტუარს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა (აუდიომაგ. 1-3). მართალია, ამგვარ სიმღერებს სრულად

არ ჩაუნაცვლებია ქართული ტრადიციული მუსიკა, თუმცა, სოციალისტური რეალიზმის სტილმა და ესთეტიკამ ზეგავლენა ტრადიციული მუსიკის ძველ ჟანრებზეც იქონია. სტალინის ლოზუნგი „ფორმით ეროვნული, ხოლო შინაარსით სოციალისტური“ არ გულისხმობდა მხოლოდ ახლის შექმნას. ის ეროვნული კულტურის სოციალიზმის სამსახურში ჩაყენებასაც მოიაზრებდა. ამ პოლიტიკის თვალსაჩინო მაგალითია XII საუკუნის პოეტის, შოთა რუსთაველის „სოციალისტური აზროვნების ზეეროვნულ წინამორბედად“ (რუმიანცევი, 2017: https://ge.boell.org/ka/2017/05/05/sazeimo-gonisziebebi-xalxistvis-transnacionaluri-mexsiereba-samxret-kavkasiashi), ან XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, ილია ჭავჭავაძის „სოციალისტური იდეების მქადაგებლად“ ინტერპრეტირება (მაჭავარიანი, 2010: https://tabula.ge/ge/news/540507-ilias-identipikatsia). 30-იან წლებში ლოტბარები, რომლებიც საბჭოთა ოკუპაციამდე იყვნენ სიმღერასა და გალობაში განსწავლულები, ცალკეულ შემთხვევებში ახერხებდნენ სცენაზე თავიანთი ნიჭისა და ოსტატობის წარმოჩენას, ტრადიციული ფორმების დაცვას, ეთნომუსიკოლოგ ედიშერ გარაყანიძისსიტყვებით, „პირველადი ფოლკლორის გამოსხივებას“ (გარაყანიძე, 2007:99). თუმცა, გუნდების შეუსაბამოდ გაზრდილი შემადგენლობებით, ინდივიდუალიზმისა და იმპროვიზაციულობის უგულებელყოფით, ერთგვაროვანი შესრულების მანერითა და გაღარიბებული რეპერტუარით (რაც, ერთი მხრივ, რელიგიური დატვირთვის მქონე ჟანრების აკრძალვით, მეორე მხრივ, შედარებით დიდი შემადგენლობის ანსამბლებისათვის უფრო შესაბამისი ნიმუშების შერჩევით იყო განპირობებული), სცენაზე წარმოდგენილი ტრადიციული ხალხური სიმღერებიც სოციალიზმით შთაგონებულ ნიმუშებს ემსგავსებოდა (აუდიომაგ.: 4, 5).

დესტალინიზაციის შემდეგ, საქართველოში ნაციონალიზმის ახლებურად გააზრების კვალდაკვალ[4], ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობამ ცვლილებები განიცადა: სტალინის სიცოცხლეში შექმნილი სიმღერების დიდმა ნაწილმა აქტუალობა დაკარგა, 60-იან წლებში ასპარეზზე გამოსულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა სცენაზე დააბრუნეს მანამდე აკრძალული საგალობლები, რელიგიური შინაარსის სიმღერები და სხვა მივიწყებული ჟანრები, თუმცა, 30-იან წლებში ჩასახული ტენდენციებისგან გათავისუფლების მცდელობის მიუხედავად, იმის გააზრება, რომ ქართული ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობა დირექტივებისაგან თავისუფალი შემოქმედებითი პროცესი უნდა იყოს, ათწლეულების მანძილზე რთულად მისაღწევ ამოცანად დარჩა.

---

[4] კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე სტალინის კულტის დაგმობის შედეგად ქართულ საზოგადოებაში გაჩენილ პროტესტსა და 1956 წლის მარტის მოვლენებს ახალი ქართული საბჭოთა ნაციონალიზმის ათვლის წერტილად განიხილავს საბჭოთა ისტორიის არაერთი მკვლევარი (მათ შორის: რონალ გრიგორ სუნი, კლერ კაიზერი, გიორგი მაისურაძე, ზაალ ანდრონიკაშვილი და სხვანი).

ბოლოთქმა

1921 წლის ოკუპაციას საქართველოში დახვდა სტილურად მდიდარი და მრავალფეროვანი ტრადიციული მუსიკა, რომელსაც საზოგადოების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე მომღერლებისა და მგალობლების მაღალ საშემსრულებლო ოსტატობაში გვარწმუნებს იმ პერიოდის აუდიოჩანაწერები[5], ტრადიციული მუსიკის დიდ პოპულარობასა და გავრცელებაზე მეტყველებს, მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის ქართველი ტყვეებისგან გადმოცემული სიმღერები[6], ან მოგონებები დამოუკიდებელი საქართველოს იუნკრებზე, რომლებიც ოკუპაციის დღეებში ქართულ ხალხურ სიმღერებს ასრულებდნენ (მათიკაშვილი, 1991:14).

საბჭოთა ხელისუფლება გამოირჩეოდა ფოლკლორზე ზრუნვით. იგი აფინანსებდა მრავალრიცხოვან ანსამბლებს, ორგანიზებას უწევდა მასშტაბურ ფოლკლორულ ღონისძიებებს, სხვადასხვა გზით ახალისებდა შემსრულებლებს, მაგრამ, ამასთან ერთად, პოლიტიკური იდეოლოგიის იარაღად გადაქცევით, მან ტრადიციული მუსიკის დეგრადაცია გამოიწვია. ამ კულტურისადმი საზოგადოების დიდი ნაწილის გულგრილი დამოკიდებულება, ერთგვარი გაუცხოება, თაობათა ცვლის პროცესში უფრო და უფრო შესამჩნევი გახდა. საბჭოთა პერიოდში დაბადებული თაობები ნაკლებად ინტერესდებოდნენ ტრადიციული მუსიკის ავთენტური ფორმებით და სოფლად ჯერ კიდევ შემორჩენილი ტრადიციის მატარებლებით. ეთნომუსიკოლოგი თამარ მამალაძე 1969 წელს ერთ-ერთი ექსპედიციის ანგარიშში ასე გადმოსცემს შექმნილ რეალობას: „ხალხური მუსიკალური შემოქმედების პროპაგანდა, მოვლა-პატრონობა თითქოს სახელმწიფო საქმედ არის გადაქცეული და პირიქით კი ხდება ლამის არის ხელიდან გაგვექცეს ეს ჩვენი ეროვნული საუნჯე... სოფლადაც იგრძნობა ერთგვარი გულაცრუება ძველი სიმღერების მიმართ. ახალგაზრდობა გატაცებულია სატრფიალო სიმღერებით. იმ მცოდნე პირთა მიმართ რომლებსაც კიდევ ახსოვთ თავისი კუთხური სიმღერები ყურადღებას ვერ იჩენენ“[7] .

---

[5] იხ. ქართული ხალხური სიმღერა: პირველი ფონოჩანაწერები (1901-1914). თბილისი: ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი, 2006.

[6] იხ. ექო წარსულიდან: ქართველ ტყვეთა სიმღერები, ჩაწერილი ცვილის ლილვაკებზე გერმანიაში 1916-1918. თბილისი: ბერლინის ფონოგრამარქივი, ბერლინის საზელმწიფო მუზეუმი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, 2014.

[7] ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი. თამარ მამალაძის ფონდი. რაჭასა და ლეჩხუმში 1969 წელს მივლინების ანგარიში. საქაღალდე #14, რვეული VI.

აუდიომაგალითები

1. ლაშქრული სიმღერა ბელადზე. ასრულებს მეჩონგურე ქალთა სახელმწიფო ანსამბლი ალექსანდრე ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით. ჩაწერილია 1952 წელს. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი. https://www.youtube.com/watch?v=5aQk5fCuPEM
2. დიდება სტალინს. ასრულებს კოოპინკავშირთან არსებული თვითმოქმედი გუნდი ვასილ

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია წაშლილი მეხსიერების აღდგენის და იდენტობის ძიების ისტორიაა. ქართული ტრადიციული მუსიკა ბოლო ათწლეულებია ცდილობს საბჭოთა წარსულისაგან დისტანცირებას, თუმცა საბჭოთა იდეოლოგიის ექო ფოლკლორის თანამედროვე შესრულებაში და ამ სფეროს ირგვლივ არსებულ დისკუსიებში ზოგჯერ კვლავაც მოისმის.

გამოყენებული ლიტერატურა

გარაყანიძე, ე. (2007). *ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა.* თბილისი: *ინტელექტი.*

ლევანიძე, მ. (2020). *„მცირეფილმიანობის“ პერიოდის მოკრძალებული ხიბლი.* კრებულში: სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი #2 (83). (რედ.: ლ. ოჩიაური, ნ. გენგიური, გ. ცქიტიშვილი). თბილისი: საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. გვ. 20-25.

ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ზეიმი (1934). გაზეთი: „კომუნისტი“, #125, გვ. 1.

მათიკაშვილი, ნ. (1990). იუნკრები. თბილისი: *მეცნიერება.*

მაჭავარიანი, ლ. (2010). *ილიას იდენტიფიკაცია.* https://tabula.ge/ge/news/540507-ilias-identipikatsia ბოლო წვდომა: 20.07.2024.

მესხი, თ. (2003). *საბჭოთა პერიოდის ქართული სამუსიკო ფოლკლორის შესახებ.* ტრადიციული მრავალხმიანობის I საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებათა კრებული (რედ.: რ. წურწუმია, ი. ჟორდანია). თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი. გვ. 493-507.

რუმიანცევი, ს. (2017). *საზეიმო ღონისძიებები ხალხისთვის.* ტრანსნაციონალური მეხსიერება სამხრეთ კავკასიაში. https://ge.boell.org/ka/2017/05/05/sazeimo-gonisziebebi-xalxistvis-transnacionaluri-mexsiereba-samxret-kavkasiashi ბოლო წვდომა: 20.07.2024.

მახარაძის ხელმძღვანელობით. ჩაწერის თარიღი უცნობია. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი. https://www.youtube.com/watch?v=da_NLIj-jSM&list=PLue6znsWBAf-dUX4MSh1O4SH3xSo-2Brix&index=2

3. ქართველ მხედრებს. ასრულებს საქართველოს რადიოკომიტეტის გუნდი ავქსენტი მეგრელიძისა და ვლადიმერ ბაბილუას ხელმძღვანელობით. ჩაწერილია 1951 წელს. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი. https://www.youtube.com/watch?v=vhO8eEx-e14c&list=PLue6znsWBAfdUX4MSh1O4SH3xSo-2Brix&index=28

4. ვთოხნოთ სიმინდი. ასრულებს აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდი სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით. ჩაწერილია 1937 წელს. https://audiomack.com/folkcentre/song/vtokhnot-simindi-2

5. ნანინავდა. ასრულებს მეჩონგურე ქალთა სახელმწიფო ანსამბლი ავქსენტი მეგრელიძის ხელმძღვანელობით. ჩაწერის თარიღი უცნობია. https://audiomack.com/folkcentre/song/naninavda

Горький, М. (1934). *Первый всесоюзный съесд советских писателей.* стенографический отчет. Заключительное слово. Москва: государственное издательство „художественная литература“. ст. 675-681.

Миллер, Ф. (2006). *Сталинский Фольклор*. Санкт-Петербург: издательство *ДНК.*

Сталин И. *Политический отчет Центрального Комитета XVI съезду ВКП(б)*, 27 июня, 1930, https://www.marxists.org/russkij/stalin/t12/t12_21.htm ბოლო წვდომა: 05.07.2024.

საარქივო მასალები

სხდომის ოქმი. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილება. ფონდი #181, ანაწერი 1, საქმე #468.

სხდომის ოქმი. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო. ფონდი #2, ანაწერი 2, საქმე #292.

რაჭასა და ლეჩხუმში 1969 წელს მივლინების ანგარიში. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი. თამარ მამალაძის ფონდი, საქაღალდე #14, რვეული VI.